საკუთარი ხელწერის ძიებაში

მოსკოვი. ცსკა–ს სპორტკომპლექსი. 21 მარტი, 4 350 მაყურებელი.

“დინამო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 0:0.

მოსკოვი: უვაროვი, ხაპსალისი, ნოვიკოვი, მილეშკინი, გოლოვნია, მენტიუკოვი, სტარიკოვი, ჩესნოკოვი, ბოროდიუკი, კარატაევი, გაზაევი.

თბილისი: ქანთარია, პაიკიძე, ჩივაძე, თევზაძე, არზიანი, სიჭინავა, სვანაძე, სულაქველიძე, ჟვანია, ცაავა, ჟორჟიკაშვილი.

სვანაძის ნაცვლად კაკილაშვილი, 77– წთ. ცაავას ნაცვლად ჩქარეული, 31–ე წთ. ჩესნოკოვის ნაცვლად მოლოდცოვი.

მსაჯი: მიროსლავ სტუპარი (ივანო–ფრანკოვსკი).

შარშანდელი ჩემპიონატი მოსკოველი და თბილისელი თანაკლუბელებისათვის წარუმატებელი გამოდგა, არა მარტო იმიტომ, რომ გუნდები მათთვის შეუფერებელ ადგილებზე აღმოჩნდნენ, არამედ იმიტომაც, რომ სწორედ შარშან დაკარგეს ერთგვარი მემკვიდრეობითობა თაობათა ცვლაში.

და აი, კოლექტივებს სათავეში ჩაუდგნენ ახალი მწვრთნელები: დაბრუნებული სევიდოვი და “დებიუტანტი” ყიფიანი. სავსებით გასაგებია, რომ პირველი მწვრთნელი ეყრდნობა საკუთარ მრავალწლიან გამოცდილებას, მეორე ახალ ასპარეზზე გზას საგანგებოდ ძნელ ვითარებაში, ფაქტიურად ახალი სათამაშო ანსამბლით იწყებს. შეხვედრის წინ ვესაუბრე რამაზ შენგელიას, რომელიც ტრავმის გამო არ თამაშობდა. მისგან გავიგე და ძალზე მესიამოვნა, რომ რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე – ყიფიანის ყოფილი პარტნიორები, მთელი პასუხისმგებლობით მხარში უდგანან მწვრთნელს და თავს არ ზოგავენ, რათა დაეხმარონ მას ახალ ამპლუაში. ასე დაწვრილებით იმიტომ ვლაპარაკობ არა საკუთრივ თამაშზე, არამედ ორივე გუნდში არსებულ მდგომარეობაზე, რომ ეს მატჩი, რომელსაც თითქოსდა ბევრი რამ უნდა მიეცა თანაკლუბელებისთვის, ხელოვნურსაფარიან მოედანზე, დახურულ მანეჟში ჩატარდა, მე კი მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ დარბაზში თამაში გუნდების შესაძლებლობებზე წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. დარბაზი შესანიშნავი საშუალებაა ვარჯიშისთვის, მაგრამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებათა მატჩებისთვის სრულიად გამოუსადეგარია. ბუნებრივია, გუნდები, რომლებმაც წინა მატჩები სამხრეთში, ბალახის მინდორზე ითამაშეს, დარბაზში სიძნელეებს წააწყდნენ და თავიანთი შესაძლებლობები ვერ გამოავლინეს.

შეხვედრა მოსკოველთა ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ მას სათამაშო უპირატესობას ვერ დავარქმევთ. თბილისელთა დაცვა დამაჯერებლად უწევდა წინააღმდეგობას მასპინძელთა შემოტევას, სტუმრები შიგადაშიგ სახიფათო კონტრშეტევებსაც ავითარებდნენ. საგოლე მომენტი ძალზე ცოტა იყო. თანაც ამ მაჩვენებლით თბილისელებმა აჯობეს კიდეც მოსკოველებს. ერთ–ერთ ეპიზოდში მარცხენა მცველმა არზიანმა მოედნის სიღრმიდან ჟვანიას კარგი გადაცემა მიიღო, სწრაფად შეიჭრა საჯარიმო მოედანზე და ძლიერად დაარტყა შორეულ კუთხეში. მეკარე უვაროვი მისწვდა ბურთს, რომელიც შემდეგ ძელს მოხვდა და “მინდორს” დაუბრუნდა. შექმნილი საგოლე მომენტებიდან ეს იყო გოლის გატანის ყველაზე რეალური შესაძლებლობა. მალე ამას კიდევ მოჰყვა მსგავსი სიტუაცია. კვლავ

მარცხენა ფლანგიდან სულაქველიძის ძლიერმა გადაცემამ სახიფათო სიტუაცია შექმნა მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ ამას მიზანში დარტყმა არ მოჰყოლია.

ორივე გუნდის შემადგენლობაში ბევრი გამოუცდელი ახალგაზრდაა. დარბაზში, მიუჩვეველ პირობებში, მათ კიდევ უფრო უჭირთ შესაძლებლობათა გამოვლენა, ვიდრე მინდორზე, სადაც ხშირად უხდებათ თამაში. ერთი სიტყვით, ტრიბუნებს ვტოვებდით ამ გუნდებთან ხელახალი შეხვედრის მოუთმენელი მოლოდინით. ვფიქრობ, შუა სეზონში სრულად გამოიკვეთება კოლექტივების სახე. თბილისელებისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება შენგელიასა და გუცაევის (დისკვალიფიცირებულია 3 თამაშით) დაბრუნებას.

ვალერი ვინოკუროვი (ტელეფონით, საგანგებოდ "ლელოსთვის").

მატჩის შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ორივე გუნდის უფროს მწვრთნელებს. აი რა თქვეს მათ:

ალექსანდრე სევიდოვი: როგორი დაკავებულიც უნდა ვიყო საკუთარი პრობლემებით, მაინც დიდი ინტერესით ვადევნებ თვალს ყიფიანის მუშაობას. ერთხელ, ყიფიანი ჩვენთან, მოსკოვის "დინამოსთან" ერთად ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში წამოვიდა. ეს იყო ჩვენი ერთად მუშაობის მოკლე პერიოდი, რომელმაც ძალზე კარგი მოგონებები დამიტოვა. ჩემპიონატისთვის მზადების წინ დათო მოსკოვში ჩამოვიდა და გამოცდილების გაზიარება მთხოვა, რაც დიდი სიამოვნებით შევასრულე. ჩემი აზრით, როცა მწვრთნელი იქიდან იწყებს, რომ ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ისწავლოს, ეს კარგის ნიშანია. თბილისელთა თამაშში ყიფიანის ხელი იგრძნობა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო ელის.

დავით ყიფიანი: თამაში ძალზე ნერვიული გამოდგა. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც არათუ პირველად თამაშობდნენ დარბაზში, არამედ "დინამოს" გასვლით მატჩებშიც პირველად გამოდიოდნენ. ვფიქრობ, ჩვენმა მცველებმა კარგად გაართვეს თავი მოვალეობას, როცა უვნებელყვეს გაზაევისა და კარატაევის შემოტევები. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით შუა ხაზის მოთამაშეებზე, რის გამოც ისეთი შეტევითი თამაში ვერ გამოგვივიდა, როგორიც დავისახეთ. ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ ახალგაზრდა მოთამაშეები, ზედმეტი ღელვის გამო ივიწყებდნენ იმას, რაზეც ვლაპარაკობდით თეორიულ მეცადინეობაზე, მაგრამ ვიმედოვნებ, უმაღლეს ლიგაში სათამაშო გამოცდილების მიღების შემდეგ ყველაფერი რიგზე იქნება.

"ლელო", 24 მარტი, 198 წ.